ჟურნალი „ეკონომიკა“ 100 წლისაა

2018 წელი საქართველოსთვის სასიამოვნოდ დატვირთული აღმოჩნდა ისეთი მეტად მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღებით, როგორიცაა-ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის 100 წლისთავი.

ამ ლამაზ თარიღებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური პროფილის ქართულენოვანი სამეცნიერო ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“, ამჟამად „ეკონომიკის“ დაარსების 100 წლის იუბილე.

მსგავსი ღონისძიების ჩატარების ტრადიცია რედაქციაში ასე თუ ისე დამკვიდრებულია და გვერდს ვერ ავუვლიდით ამ თარიღს.

90 წლის იუბილე 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო არ აღნიშნულა. რაც შეეხება 80 წლისთავს, იგი ჩატარდა ორი ათეული წლის წინ, როცა ჟურნალ „ეკონომიკის“ რედაქციას ფართო საზოგადოებამ დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა.

ამჟამად ჟურნალის 100წ. იუბილეს აღსანიშნავად შევძელით მკითხველებისათვის სპეციალური გამოშვებით მიგვეწოდებინა ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველსავე წელს (1918) ორივე ენაზე გამოსული სულ 6-ვე ნომრის მთლიანი მასალა (#9,2018 წ.). მასში მოცემული თემატიკა აქტუალურია დღესაც და დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის გამოცდილების თვალსაზრისით, მით უმეტეს როცა ჟურნალის პირველი ნომრების გამოცემის პერიოდი, ეპოქა და დღევანდელობა გარკვეულწილად ერთმანეთს მიესადაგება.

ჟურნალ „ეკონომიკის“ 100 წლისთავი საკმაოდ მასშტაბურად აღინიშნა 2018 წ. 13 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. მნიშვნელოვანი იყო მთა-

ვრობის მხრიდან ჟურნალი „ეკონომიკის“ რედაქციისადმი **საქართველოს პრემიერ მინისტრის-ბატონი მამუკა ბახტაძის მოლოცვა**.თითქმის არ დარჩენილა არცერთი ეკონომიკური პროფილის სამთავრობო დაწესებულება თუ კერძო სტრუქტურა, უმაღლესი სასწავლებლები, ეკონომიკური პროფილის ჟურნალები და გაზეთები, სწავლული ეკონომისტები, რომლებიც არ გამოხმაურებიან ამ ღონისძიებას. ყოველივე ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჟურნალის რედაქციას. გვჯერა, რომ დიდი ტრადიციაგამოვლილი ჟურნალი მომავალშიც კვლავ მაღალი ენთუზიაზმით გააგრძელებს თავის შემოქმედებით საქმიანობას და ჯეროვან წვლილს შეიტანს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების საქმეში.

რევაზ შენგელია
მთ. რედაქტორი,
ემდ, სტუ პროფესორი